

საქართველოს კანონი

„სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ“ საქართველოს კანონში დამატების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, N4, 1998 წელი, მუხ. 32) შეტანილ იქნეს შემდეგი დამატებები:

1. კანონის პირველ მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „კ“ ქვეპუნქტი:

„კ) განსაკუთრებული ინვესტიციების ზონა - დედაქალაქის, ავტონომიური რესპუბლიკების დედაქალაქების, საკურორტო და სარეკრეაციო ზონების ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული ტერიტორიები.“.

2. მე-12 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 1¹ პუნქტი:

„1¹. განსაკუთრებული ინვესტიციების ზონაში ტერიტორიულ ზონირებას განსაზღვრავს და მის საზღვრებს ამტკიცებს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი